განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს კოლეჯი მესამე სამედიცინო

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ალინა კუპრავა
წევრები:
გიორგი ბერაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

ქ.თბილისი, 2018 წელი 19-20 აპრილი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს კოლეჯი მესამე სამედიცინო

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შპს

საიდენტიფიკაციო კოდი: 404935273

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული კოლეჯი

■ საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ.თბილისი, 2018 წელი 19-20 აპრილი

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

2018 წლის 19 და 20 აპრილს შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოში განხორციელდა ვიზიტი დაწესებულების მხრიდან პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფხურის მოდულურ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ წარმოდგენილი განაცხადის საფუძველზე პრაქტიკოსი ექთნის პროგრამის თავისებურებების , პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის და მატერიალური რესურსის შემოწმების მიზნით.
ვიზიტის დაწყებამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შედგა დღის წესრიგი.
ვიზიტის დაწყებისას დაწესებულების ხელმძღვანელთან განხორციელდა დღის წესრიგის განხილვა, დღის წესრიგში ცვლილებების განხორციელების საჭიროება არ დამდგარა.
დღის წესრიგის შესაბამისად განხორციელდა შემდეგი აქტივობები:
პრაქტიკოსი ექთნის პროგრამის და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემოწმება;
დაწესებულებისსაქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაციის შემოწმება;
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრის შემოწმება;
ვებ გვერდის შემოწმება;
პროგრამასთან დაკავშირებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმება;
პროგრამასთან დაკავშირებული ადამიანური რესურსების შემოწმება;
პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრება;
პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრება;
პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება;
პრაქტიკის ობიექტებში ვიზიტი.

ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და საქმიან გარემოში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ქ.თბილისი, 2018 წელი 19-20 აპრილი

ივსება მხოლოდ ავტორიზაციის ვიზიტისას, ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით

მდგომარეობა	სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა	ფართი	მისამართებ ს რაოდენობ და მდებარეობ
არსებული	258	7	89	447,36 კვ.მ	ქ.თბილისი: აკაკი წერეთლის გამზირი N 142

.....

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

ქ.თბილისი, 2018 წელი 19-20 აპრილი

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☐	■
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

ქ.თბილისი, 2018 წელი 19-20 აპრილი

	სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.			
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	☐	■
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	☐
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	☐
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

ქ.თბილისი, 2018 წელი 19-20 აპრილი

	შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები			
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	□
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	■	□
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	□
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	□
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	□
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ.თბილისი, 2018 წელი 19-20 აპრილი

	საშუალებები;			
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	□
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	□
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	□
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	□
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	□
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	□
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	□
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	□
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	□
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ.თბილისი, 2018 წელი 19-20 აპრილი

	ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;		■	☐
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	მუხლი 7 / პუნქტი ი)	■	☐
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☐	■
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☐	■
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ.თბილისი, 2018 წელი 19-20 აპრილი

	აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.			

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ექსპერტთა შეფასებით არ გამოვლენილა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ.თბილისი, 2018 წელი 19-20 აპრილი

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

1.2. დაწესებულების კატალოგი ფორმალურად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს (http://medicalschool-3.edu.ge/ge/menu/34), თუმცა მასში განთავსებული ინფორმაცია მოდულური პროგრამების შესახებ მოცულობა და ხანგრძლივობა არის შეუსაბამო დღეის მდგომარეობით დამტკიცებულ მოდულური პროგრამის მოცულობასა და ხანგრძლივობასთან, ძირითადად: პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები შესულია და თანხვედრაშია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 16 აგვისტოს N 512 და N 507 ბრძანებებიის საფუძველზე დამტკიცებულ პრაქტიკოსი ექთნის ჩარჩო დოკუმენტთან და მოდულებთან. **პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 134 კრედიტი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 164 კრედიტი, ხოლო პროგრამების კატალოგში მითითებულია აღნიშნული პროგრამის 179 კრედიტი და შესაბამისად სწავლის ხანგძლივობაც გაზრდილად (32 სასწავლო თვე) არის დაფიქსირებული;**
კატალოგში მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ; ექსპერტთა მოსაზრებით კატალოგის ფორმა ვერ ასრულებს იმ მოთხოვნას , რასაც კატალოგი უნდა ემსახურებოდეს .

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

მოდულების მასწავლებელთა პირადი საქმეების შესწავლის დროს დაფიქსირდა რომ „ფსიქიატრიულ პაციენტის საექთნო მართვის“ მოდულს უძღვება პროფესიული მასწავლებელი [redacted] კვალიფიკაციი სამედიცინო ფსიქოლოგი, რეზიუმეს ჩანაწერებიდან ირკვევა რომ სარეაბილიტაციო ცენტრში მუშაობ ფსიქოლოგად, აღნიშნული კვალიფიკაციის მქონე პირი ვერ განახორციელებს მოდულის სწავლის შედეგებ სწავლებას, აღნიშნული <u>მოდული აუცილებელია განხორციელდეს ექთნის კვალიფიკაციის ან მუშაობ გამოცდილების მქონე პირის მიერ.</u>

VI. რეკომენდაციების შეჯამება

- სასურველია, დაწესებულების ხარისხის სამსახურის წარმომადგენელმა თვალი ადევნოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე განთავსებული ჩარჩო დოკუმენტების და მოდულების ცვლილებებს და შესაბამისად უმოკლეს ვადებში განახორციელოს შესაბამისი ცვლილებები დამტკიცებულ პროფესიულ პროგრამებში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ქ.თბილისი, 2018 წელი 19-20 აპრილი

- მოდულში მითითებული პროფესიული მასწავლებლების შესახებ ინფორმაციის გრაფაში ან ხელშეკრულებაში გაკეთდეს ჩანაწერი რომელი მასწავლებელი რომელ სწავლის შედეგს ასწავლის და შეაფასებს;
- სასურველია, დაწესებულებამ არამარტო მოდულის დაწყების წინ, არამედ მოდულური პროგრამის ადაპტირებამდე განახორციელოს საკონსულტაციო შეხვედრები/ტრენინგები პროფესიულ მასწავლებლებთან, რომ მათ თავიდავე იცოდნენ მოდულური პროგრამის სპეციფიკა.
- სასურველია, დაწესებულებამ მოდულების განხორციელების მიდგომებში ასახოს პრაქტიკული მეცადინეობის რამდენი პროცენტი ტარდება კოლეჯში და რამდენი პრაქტიკის ობიექტზე;
- სასურველია, პრაქტიკის ობიექტებთან დადებულ ხელშეკრულებებში დაზუსტდეს თუ რომელი პროგრამის ფარგლებშია დადებული ხელშეკრულება და მიეთითოს პროგრამების მიხედვით შესაბამისი მოდულები, ასევე ყველა ხელშეკრულებაში განისაზღვროს მინიმუმ რამდენ პროფესიულ სტუდენტს მიიღებს ობიექტი ერთდროულად, რომ კონტიგენტის დათვლა უფრო გამარტივდეს;
- სასურველია, პრაქტიკის ობიექტს(წერილის გაგზავნისას) მიეწოდოს ინფორმაცია მოდულის ფარგლებში ასათვისებელი სწავლის შედეგების და მოდულების ხანგძლივობის შესახებ;
- სასურველია, კატალოგში განთავსდეს ინფორმაცია კოლეჯის რეალური ცხოვრებიდან მნიშვნელოვანი ფაქტების შესაბამისი ფოტომასალით, დაამატონ სხვა დამატებითი სერვისები რასაც კოლეჯი ახორციელებს (მოკლევადიანი სასერთიფიკატო კურსები) და სხვა.
- სასურველია, განისაზღვროს კატალოგის განახლებაზე პასუხისმგებელი პირი;
- სასურელია, კატალოგი ამოიღონ „იურიდიული ცნობარის" რუბრიკიდან და განათავსონ მთავარ გვერდზე, რომ მარტივად მიგნებადი იყოს დაინტერესებული პირებისათვის.
- სასურველია, დაწესებულებამ საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების ჩანაწერის საფუძველზე გამოიყენოს „ჩარიცხვის" ნაცვლად ტერმინი პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება ბრძანების ტექსტში;
- სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშაოს საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების პროცედურები სსსმ პირებისათვის, მობილობით გადმოსული პირებისათვის, სტატუსშეჩერებული სტუდენტისათვის, რომელიც აღდგენის შემდეგ უნდა ინტეგრირდეს სასწავლო პროცესში ;
- სასურველია, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში ინტეგრირდეს შიდა მხარდაჭერის ჯგუფის აქტივობები, რადგან ორივე დოკუმენტი ერთ მიზანს ემსახურება;
- სასურველია, კონტიგენტის დათვლის მეთოდოლოგია შემუშავდეს პროგრამის სასწავლო გეგმის დატვირთვის გათვალისწინებით;
- სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშაოს მოდულურ პროგრამებზე სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შეძენის, შენახვისა მექანიზმები, ასევე სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციის წესები;
- დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებების შინაარსი ჩამოყალიბდეს დაწესებულების დამტკიცებული საქმისწარმოების ინსტრუქციის 4.4 მუხლის/პუნქტის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ.თბილისი, 2018 წელი 19-20 აპრილი

- სასურველია, დაწესებულებამ განახორციელოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება;
- სასურველია, სამოქმედო გეგმების შემუშავება ეფუძნელოდეს დაწესებულების მიერ შემუშავებულ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას და შემუშავების პროცესში მონაწილეობდნენ დაწესებულების პარტნიორები და სხვა დაინტერესებული მხარეები.
- სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშაოს საშტატო პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხვნები, უფრო გამარტივდება ვაკანტურ თანამდებობაზე სასურველი კადრის შერჩევა.

VII. დაწესებულების მისია

დაწესებულების მისიაა ჩამოყალიბდეს ცოდნაზე ორიენტირებულ ფინანსურად ხელმისაწვდომ საზოგადოებრივ კოლეჯად, რომელიც იხელმძღვანელებს რა დემოკრატიისა და ჰუმანიზმის პრინციპებით, განათლებისა და დასაქმების სფეროში წარმატების მისაღწევად ითანამშრომლებს დამსაქმებლებთან და საზოგადოების ყველა დაინტერესებულ პირთან.

სტანდარტების შეფასება

1. **საგანმანათლებლო პროგრამები**

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლ პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია დ შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემი შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედ კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიე დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელ კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთ შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს კოლეჯი მესამე სამედიცინო 2017 წლის 19 ივლისის პროფესიული საგანმანათლებლ დაწესებულებების საბჭოს გადაწყვეტილება N24 საფუძველზე ახორციელებს 4 „საგნობრივ" (ექთნის თანაშემწ მესამე საფეხური, ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი მესამე საფეხური, კბილ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ.თბილისი, 2018 წელი 19-20 აპრილი

ტექნიკოსი მესამე საფეხური და ოფისის მენეჯერი(მდივან რეფერენტი) მესამე საფეხური) და 3 „მოდულური (ექთნის თანაშემწე მესამე საფეხური, ფარმაცევტის თანაშემწე მეოთხე საფეხური და პრაქტიკოსი ექთანი მეხუთე საფეხური) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

ვიზიტის მიზნის შესაბამისად პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კვოტის გაზრდა შემოწმდა აღნიშნული პროგრამა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;

დაწესებულების უფლებამოსილი პირის დირექტორის 2017 წლის 20 თებერვლის N 17 ბრძანებით დამტკიცებულია პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის მოდულური პროგრამა, რომელშიც 2017 წლის 23 მარტის N19 ბრძანებით (ცვლილების საფუძველია: სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტების ჩანაწერი მოდულებზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით), 2017 წლის 04 სექტემბერს N 39 ბრძანებით, 2017 წლის 22 სექტემბერს N 40 ბრძანებით(ბრძანების საფუძველია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 16 აგვისტოს N 512 და N 507 ბრძანებები), 2017 წლის 20 ნოემბერს N45 ბრძანებით(ბრძანებით გაუქმდა არჩევითი პროფესიული მოდული შინმოვლა და შესაბამისად პროგრამის კრედიტები და ხანგძლივობა შეიცვალა) შეტანილ იქნა ცვლილებები;

პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში პროგრამა) პირველი გვერდი მოიცავს ინფორმაციას პროგრამის დამტკიცების და ცვლილებების განხორციელების შესახებ, დაწესებულების ემბლემას და დასახელებას, პროგრამის დასახელებას , პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ ინფორმაციას; პროგრამაში მოცემულია შემდეგი სახის ინფორმაცია: პროგრამის კოდი და სახელწოდება, პროფესიული კვალიფიკაციის დონე, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, საკანონმდებლო ბაზა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები,ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები, პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის, ინფორმაცია დანართების შესახებ - სასწავლო გეგმა, განმახორციელებელი პერსონალი და პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდული.

<u>**გადამოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი:**</u>

პროგრამაში ცვლილებები შესულია და თანხვედრაშია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 16 აგვისტოს N 512 და N 507 ბრძანებებიის საფუძველზე დამტკიცებულ პრაქტიკოსი ექთნის ჩარჩო დოკუმენტთან და მოდულებთან. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 134 კრედიტი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 164 კრედიტი.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის N656 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა ცვლილებები აღნიშნული პროგრამის ზოგად სავალდებულო მოდულებში (მეწარმეობა 3, უცხოური ენა და ინფორმაციული წიგნიერება 2) და 2017 წლის 13 ოქტომბერს გამოქვეყნდა ახალი რედაქციით, დაწესებულებას არ განუხორციელებია ამ მიმართულებით ცვლილება პროგრამის შესაბამის დანართებში. ვიზიტის პერიოდში დეტალურად შემოწმდა ძველი და ახალი ვერსიით დამტკიცებული ზოგადი სავალდებულო მოდულების შინაარსობრივი მხარე, რამდენად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

ქ.თბილისი, 2018 წელი 19-20 აპრილი

განსხვალებული იყო ერთმანეთისაგან სტანდარტული ჩანაწერები(სწავლის შედეგები, შეფასების კრიტერიუმები, კრედიტის რაოდენობა და სხვა) და დადგინდა რომ სწავლის შედეგები, შეფასების კრიტერიუმები, კრედიტის რაოდენობა, თემატიკა და სხვა კომპონენტები იდენტურია ერთმანეთის, მხოლოდ მოდულის განხორციელების მიდგომებშია ცვლილება მტკიცებულებების შეგროვებასთან და მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, რაც ხელს არ უშლის აღნიშნული მოდულების სწავლის შედეგების მიღწევას და დადასტურებას.

<u>პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას აქვს მემორანდუმები შემდეგ პრაქტიკის ობიექტებთან:</u>

1. შპს გადაუდებელი მედიცინის ცენტრი, გაფორმების თარიღი 22.02.2017 წ, მოქმედების ვადა 2023 წ;
2. სამედიცინო კორპორაცია ეკექსი, გაფორმების თარიღი 29.03.2017 წ , მოქმედების ვადა 2 წელი;
3. შპს თბილისის ბავშვთა ინფექციური საავადმყოფო, გაფორმების თარიღი 03.02.2017 წ, მოქმედების ვადა 2023 წ;
4. ივ. ბოკერიას სახელობის თბილისის რეფერალური ჰოსპიტალი გაფორმების თარიღი 4.04.2017 წ , მოქმედების ვადა 2020 წ.
5. M მედი 22, გაფორმების თარიღი 8.02.2017, მოქმედების ვადა 2023 წ;
6. თბილისის ონკოლოგიური დისპანსერი, გაფორმების თარიღი 10.02.2017 წ, მოქმედების ვადა 2023 წ;
7. შპს აკ.ვ.ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია-მეტაბიოლოგია-დიეტოლოგიის ცენტრი ენდემეცი, გაფორმების თარიღი 16.02.2017 მოქმედების ვადა 2023 წ;
8. სს უნივერსალური სამედიცინო ცენტრი, გაფორმების თარიღი 22.02.2017 წ, მოქმედების ვადა 2023 წ;
9. შპს გადაუდებელი ქირურგიის და ტრამვატოლოგიის ცენტრი, გაფორმების თარიღი 16.02.2017 წ, მოქმედების ვადა 2023 წ;
10. შპს მარინე აფციაურის საერთაშორისო სასწავლო-სარეაბილიტაციო ცენტრი, გაფორმების თარიღი 16.02.2017 წ, მოქმედების ვადა 2023 წ;
11. შპს გადაუდებელი ნევროლოგიის კლინიკა „ნევროლოგი", გაფორმების თარიღი 16.02.2017 წ, მოქმედების ვადა 2023 წ;
12. შპს კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ეროვნული ცენტრი, გაფორმების თარიღი 13.02.2017 წ, მოქმედების ვადა 2023 წ;
13. საქართველოს საქველმოქმედო ფონდი კარიტასი გაფორმების თარიღი 01.02.2018 წ, მოქმედების ვადა 3 წ (პრაქტიკაზე მისაღები პროფესიულ სტუდენტთა მისაღები რაოდენობა არაუმეტეს ჯგუფში 20);

<u>მემორანდუმების საფუძველზე გაფორმებულია ხელშეკრულებები შემდეგ პრაქტიკის ობიექტებთან:</u>

1. შპს მარინე აფციაურის საერთაშორისო სასწავლო-სარეაბილიტაციო ცენტრი, გაფორმების თარიღი 29.03.2018 წ , ხელშეკრულების საგანია **რეაბილიტაცია საექთნო საქმეში და ფიზიოთერაპიის** მოდულების პრაქტიკული კომპონენტის გავლა მათ ბაზაზე;
2. შპს გადაუდებელი ნევროლოგიის კლინიკა „ნევროლოგი", გაფორმების თარიღი 29.03.2018 წ ხელშეკრულების საგანია **თავის და კისრის პათოლოგიებით პაციენტის საექთნო მართვის და**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ქ.თბილისი, 2018 წელი 19-20 აპრილი

ნევროლოგიური პაციენტის საექთნო მართვის მოდულების პრაქტიკული კომპონენტის გავლა მათ ბაზაზე;

3. შპს თბილისის ბავშვთა ინფექციური საავადმყოფო, გაფორმების თარიღი 03.02.2017 წ ხელშეკრულების საგანია **ინფექციის კონტროლი საექთნო საქმეში, ინფექციური პაციენტის საექთნო მართვის და ჰიგიენა და ინფექციის კონტროლი ავადმყოფის მოვლის** მოდულების პრაქტიკული კომპონენტის გავლა მათ ბაზაზე;(პრაქტიკაზე მისაღები პროფესიულ სტუდენტთა მისაღები რაოდენობა არაუმეტეს 20 პრაქტიკოსი ექთანი და 10 ექთნის თანაშემწე);
4. შპს კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ეროვნული ცენტრი, გაფორმების თარიღი 02.04.2018 წ,ხელშეკრულების საგანია **დერმატო-ვენეროლოგიური პაციენტის საექთნო მართვის მოდულის** პრაქტიკული კომპონენტის გავლა მათ ბაზაზე;
5. სს ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი გაფორმების თარიღი 20.03.2018 წ, ხელშეკრულების საგანია **კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვის, ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვის და ექთანი ანესთეზისტის** საქმე მოდულების პრაქტიკული კომპონენტის გავლა მათ ბაზაზე;

<u>დღის წესრიგის შესაბამისად მეორე დღეს განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის ობიექტებზე:</u>

1. შპს კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ეროვნულ ცენტრში ექსპერტები შევხვდით და გავესაუბრეთ დირექტორის მოადგილეს და პრაქტკის ინსტრუქტორს, რომელიც ასევე არის კოლეჯის დერმატო-ვენეროლოგიური პაციენტის საექთნო მართვის მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიულ მასწავლებელთან გასაუბრებისას დადგინდა რომ მას მოდულური პროგრამით სწავლების გამოცდილება არ აქვს, თუმცა ინტენსურად თანამშრომლობს დაწესებულების წარმომადგენლებთან, იცნობს მოდულის ჩანაწერებს, კალენდარულ გეგმას და შეფასების ინსტრუმენტებს მოდულის დაწყებამდე შეადგენენ დაწესებულებასთან თანამშრომლობით; პრაქტიკის ობიექტს შეუძლია ერთდროულად მიიღოს მინიმუმ 2 ჯგუფი, თითოეულში არაუმეტეს 20 პროფესიული სტუდენტი; ვიზიტისას კლინიკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც დათვალიერდა, იმ მიზნით შეძლებდნენ თუ არა ერთდროულად 40 პროფესიული სტუდენტის მიღებას, რაც დადასტურდა. პროფესიული მასწავლებლის რეკომენდაციაა ჩატარდეს საკონსულტაციო შეხვედრა/ტრენინგი მოდულის დაწყებამდე, რომ შეძლოს მოდულის განხორციელებასთან, შეფასებასთან დაკავშირებულ მიდგომებში და დოკუმენტაციებში გარკვევა.
2. თბილისის ონკოლოგიური დისპანსერი, სადაც კოლეჯი გეგმავს ონკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვის, პალიატიური პაციენტის საექთნო მართვის და გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვის მოდულების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას. დისპანსერში პრაქტიკის ინსრუქტორთან, რომელიც ამავდროულად არის აღნიშნული მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებელი, გასაუბრებისას დადგინდა რომ ჩართული იყო მოდულური პროგრამის შემუშავებაშიც და მას სხვა კოლეჯიდან უკვე აქვს მოდულების სწავლების და შეფასების გამოცდილება. პროფესიულმა მასწავლებელმა დადებითად შეაფასა მოდულური პროგრამების განხორციელების მიდგომები, რომელშიც ჩართული პროფესიული სტუდენტი თავიდანვე ვითარდება პოტენციური დამსაქმებლის თვალწინ.ვიზიტისას კლინიკის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ.თბილისი, 2018 წელი 19-20 აპრილი

მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც დათვალიერდა, იმ მიზნით შეძლებდნენ თუ არა ერთდროულად 40 პროფესიული სტუდენტის მიღებას, რაც დადასტურდა ;

3. ქირურგიის ეროვნული ცენტრი, სადაც კოლეჯი გეგმავს ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვის და კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვის მოდულების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას. ცენტრში განხორციელდა გასაუბრება იურისტთან, რომელიც ასევე არის იმავე ცენტრის სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი. გასაუბრებისას დადგინდა რომ მოდულის პრაქტიკული კომპონენტის დაწყებამდე დაწესებულებასთან ერთად შეარჩევს პრაქტიკის ინსტრუქტორს და მოხდება მისი ინფორმირება მოდულის შესაბამისად ასათვისებელი სწავლის შედეგების და შეფასების კრიტერიუმების შესახებ. ცენტრი მზადაა დაწესებულებასთან თანამშრომლობისათვის და დაადასტურა რომ შეუძლია ერთდროულად მინიმუმ 40 პროფესიული სტუდენტის მიღება.

- საინტერესო და უფრო ინფორმაციული იქნებოდა ვიზიტი შპს გადაუდებელი ქირურგიის და ტრამვატოლოგიის ეროვნულ ცენტრში, სადაც პროფესიული სტუდენტები უკვე დადიან პრაქტიკული კომპონენტის ასათვისებლად, თუმცა ვერ განხორციელდა ტექნიკური მიზეზების გამო(კლინიკის ხელმძღვანელობა და პრაქტიკის ინსტრუქტორი კლინიკაში არ იყვნენ), დაწესებულებამ წარმოადგინა გაგზავნილი წერილი, რომელიც ხელშეკრულების თანახმად პრაქტიკული კომპონენტის დაწყებამდე გაეგზავნა აღნიშნულ დაწესებულებას, წერილში მოცემულია პროფესიულ სტუდენტთა სია, რომლებიც იგზავნება პრაქტიკის ობიექტზე;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს კოლეჯი მესამე სამედიცინოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- დირექტორის ბრძანებებით პროგრამის დამტკიცების/ცვლილებების განხორციელების შესახებ;
- მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან;
- ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან;
- პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.
- ვებ გვერდით www.medicalschool-3.edu.ge

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

ქ.თბილისი, 2018 წელი 19-20 აპრილი

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების კატალოგი ფორმალურად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს (http://medicalschool-3.edu.ge/ge/menu/34), თუმცა მასში განთავსებული ინფორმაცია მოდულური პროგრამების შესახებ მოცულობა და ხანგრძლივობა არის შეუსაბამო დღეის მდგომარეობით დამტკიცებულ მოდულური პროგრამის მოცულობასა და ხანგრძლივობასთან, ძირითადად: პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები შესულია და თანხვედრაშია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 16 აგვისტოს N 512 და N 507 ბრძანებებიის საფუძველზე დამტკიცებულ პრაქტიკოსი ექთნის ჩარჩო დოკუმენტთან და მოდულებთან. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 134 კრედიტი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 164 კრედიტი, ხოლო პროგრამების კატალოგში მითითებულია აღნიშნული პროგრამის 179 კრედიტი და შესაბამისად სწავლის ხანგძლივობაც 32 სასწავლო თვე კატალოგში მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;

ექსპერტთა მოსაზრებით კატალოგის ფორმა ვერ ასრულებს იმ მოთხოვნას , რასაც კატალოგი უნდა ემსახურებოდეს .

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)
- http://medicalschool-3.edu.ge/ge/menu/34

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

ქ.თბილისი, 2018 წელი 19-20 აპრილი

შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს კოლეჯი მესამე სამედიცინოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- დირექტორის ბრძანებებით პროგრამის დამტკიცების/ცვლილებების განხორციელების შესახებ;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა

შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს დირექტორის 2017 წლის 11 თებერვლის № 12 ბრძანებით დამტკიცებულ საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების **მუხლი 16. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება მოიცავს შემდეგ ჩანაწერს:** საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველების საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით დირექტორის ბრძანებით იქმნება სპეციალური კომისია, კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება კომისიის საოქმო დადგენილების სახით და გადაეცემა კოლეჯის დირექტორს, კოლეჯის დირექტორი კომისიის რეკომენდაციისა და საბუთების ანალიზის საფუძველზე გამოსცემს ბრძანებას პროფესიული სტუდენტების შესაბამის პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ, კოლეჯის დირექტორის მიერ პროფესიული სტუდენტის შესაბამის პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემიდან ორი სამუშაო დღის ვადაში შეაქვს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შესახებ მონაცემები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში (evet.emis.ge). კოლეჯი პროფესიულ სტუდენტთან აფორმებს ხელშეკრულებას სასწავლო მომსახურების შესახებ, რომელსაც ხელს აწერს კოლეჯის სახელით დირექტორი და სრულწლოვანი პროფესიული სტუდენტი ან არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის კანონიერი წარმომადგენელი - მეორე მხრიდან. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს, ხოლო მეორე ეგზემპლიარი ინახება პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს დირექტორის 2017 წლის 11 თებერვლის № 12 ბრძანებით დამტკიცებულ საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების **მუხლი 24. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება მოიცავს შემდეგ ჩანაწერს:** კოლეჯის პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მიმართოს კოლეჯს განცხადებით, მისთვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და მისი სასწავლო პროცესში მონაწილეობისგან და პროფესიული სტუდენტის სხვა უფლება - მოვალეობებისგან დროებით განთავისუფლების თაობაზე.ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის გარდა პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:

ა) ფინანსური დავალიანების დადგენილ ვადებში გადაუხდელობა;

ბ) პროფესიული სტუდენტის მიერ კოლეჯთან კავშირის გაწყვეტა, შესაბამისი მიზეზების დადგენამდე;

გ) უცხო ქვეყანაში სწავლა;

დ) სასწავლო პროცესის დაწყებიდან ზედიზედ ერთი თვის განმავლობაში არ გამოცხადება;

ე) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე;

ვ) ავადმყოფობა;

ზ) მოქმედი კანონმდებლობითა და კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები;

შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს დირექტორის 2017 წლის 11 თებერვლის № 12 ბრძანებით დამტკიცებულ საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების **მუხლი 25. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა მოიცავს შემდეგ ჩანაწერს:**

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი ან კანონიერი წარმომადგენლის განცხადება;

ბ) შეჩერებული სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტისათვის სამართლებრივი აქტით დადგენილი სტატუსის შეწყვეტის ვადის დადგომა;

გ) დებულების, კოლეჯის სხვა შიდასამართლებრივი აქტების უხეში ან/და სისტემატური დარღვევა, რაც მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს კოლეჯს, მის პროფესიულ სტუდენტებს, თანამშრომლებს;

დ) გარდაცვალება.

2.პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ფორმდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს დირექტორის 2017 წლის 11 თებერვლის № 12 ბრძანებით დამტკიცებულ საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების **მუხლი 23. პროფესიული სტუდენტის მობილობა მოიცავს შემდეგ ჩანაწერს**

1.პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს მობილობით, რაც გულისხმობს ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა პროფესიულ პროგრამაზე კოლეჯის შიგნით (შიდა მობილობა) ან სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებიდან (გარე მობილობა) მობილობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ.თბილისი, 2018 წელი 19-20 აპრილი

2. შიდა მობილობის პროცედურის დაწყების საფუძველია პროფესიული სტუდენტის განცხადება, რომლის საფუძველზეც დგინდება პროფესიული სტუდენტის მიერ მოდულის სწავლის შედეგების დადასტურების ან მოდულის ცალკეული შედეგის დადასტურების თავსებადობის საკითხი. შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში შესაბამისი ოქმის საფუძველზე დირექტორი გამოსცემს ბრძანებას პირის შიდა მობილობის შესახებ აღიარებული სწავლის შედეგების საფუძველზე.

3. პროფესიულ სტუდენტთა მობილობის პერიოდები, ვადები ყოველ პროგრამაზე განისაზღვრება ინდივიდუალურად კოლეჯის დირექტორის ბრძანების გამოცემის მეშვეობით. რომლითაც დგინდება:

ა. საგანამანათლებლო პროგრამა, რომელზეც ცხადდება მობილობა;

ბ. პროგრამაზე მიღების ვაკანტური ადგილების რაოდენობა;

გ. მსურველთა რეგისტრაციის ვადები;

დ. მობილობის პორცედურისათვის აუცილებელი წარმოსადგენი დოკუმენტაცია;

ე. სხვა პირობები.

4. პროფესიული სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის თაობაზე დირექტორი გამოსცემს ბრძანებას.

შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს დირექტორის 2017 წლის 11 თებერვლის № 12 ბრძანებით დამტკიცებულ საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების **მუხლი 26. მიღებული განათლების აღიარება მოიცავს შემდეგ ჩანაწერს:**

1. პირის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

2. საქართველოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება კოლეჯის ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის მენეჯერისა და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალისტების მიერ, მიღებული ცოდნის, უნარებისა და ფასეულობების პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის გზით.

3. თუ პროგრამის უკვე ათვისებული კომპონენტის სახელწოდება მცირედით განსხვავდება კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტისაგან, თუმცა შინაარსობრივად, ასათვისებელი კვალიფიკაციების მიხედვით იდენტური ან თითქმის იდენტურია, ის შეიძლება იქნას აღიარებული კოლეჯის მიერ.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებით, თუ პირის მიერ გავლილი სასწავლო კომპონენტის სწავლის შდეგები იდენტურია დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების, მისი აღიარება ხდება ავტომატურად;

5. მიღებული განათლების აღიარებასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე დებულებით, დარეგულირდეს დირექტორის ბრძანებით.

6.არაფორმალური განათლების მქონე პირის ცოდნის, უნარებისა დაღირებულებების შემოწმებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ.თბილისი, 2018 წელი 19-20 აპრილი

შესაბამისი დარგის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ კომპეტენციებთან მისი შედარების გზით შესაძლებელია არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება.

7. არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურები განისაზღვრება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით. კოლეჯის მიერ არაფორმალური განათლების აღიარება მოხდება იმ დროისათვის არსებული სამართლებრივი რეგულაციების შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის ანალიზი:

ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მხრიდან გადამოწმდა თუ როგორ განხორციელდა პრაქტიკოსი ექთნი მოდულურ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება; დაწესებულების ხელმძღვანელ წარმოადგინა სპეციალური კომისიის შექმნის ბრძანება, კომისიის ოქმი ჩარიცხვის მსურველთ დოკუმენტაციის შესწავლის შესახებ და მის საფუძველზე გამოცემული დირექტორის ბრძანება პროფესიულ სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ; დაწესებულებას მხოლოდ ერთხელ აქვს გამოცხადებული დ განხორციელებული პროგრამებზე სწავლის მსურველთა მიღება;

დაწესებულება იცავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების და შეწყვეტის წესს.
პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარები წესების შესაბამისად ჯერ კოლეჯს არ განუხორციელებია ქმედება.

2017 წლის 11 თებერვლის № 12 ბრძანებით დამტკიცებულ საგანმანათლებლო საქმიანობი მარეგულირებელი დებულების **მუხლი 21-ში** (პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება ჩარჩ დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი (მოდულური) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გაკეთებულია ერთ-ერთ პუნქტად ჩანაწერი: კვალიფიკაციის მინიჭებისათვის სტუდენტმა უნდა დააგროვო ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტები, მაშინ როგ დაწესებულებას დამტკიცებულ მოდულურ პროგრამებში აქვს არჩევითი მოდულებიც. დაწესებულები ხელმძღვანელობასთან გასაუბრებით დადგინდა რომ აღნიშნულ ჩანაწერში ტექნიკური შეცდომაა, რომელი დირექტორის ბრძანებით გასწორდა, აქვე უნდა აღინიშნოს რომ იმავე რეგულაციის მუხლი 27. კვალიფიკაცი მინიჭების ინსტრუქცია სწორად არეგულირებს პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭები პირობებს.

რაც შეეხება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ინფორმაციის ასახვ მოდულურ პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების მონაცემები შეყვანილია დაწესებულების რეგულაციი დადგენილი ვადის დარღვევით (რეგულაციაში ჩანაწერია ბრძანების გამოცემიდან 2 დღეში ხორციელდებ ინფორმაციის შეტანა), მონაცემები შეტანილია 2018 წლის 18 აპრილს. დაწესებულების წარმომადგენელ წარმოადგინა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის სახელზ გაგზავნილი წერილი (2018 წლის 6 თებერვალი წერილი N05) და განათლების საინფორმაციო მართვ ცენტრის სახელზე გაგზავნილი წერილი(2018 წლის 03 აპრილი, წერილი N18) სადაც აცნობებს ორგანიზაციებ , რომ ვერ ახორციელებს დაწესებულება მოდულურ პროგრამებზე სტუდენტთა რეგისტრაციას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ქ.თბილისი, 2018 წელი 19-20 აპრილი

ვიზიტისას პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 3(სამი) სტუდენტთან ჩატარდა ინტერვიუ, გამოიკვეთა შემდეგი:

პროფესიული სტუდენტები კმაყოფილნი არიან კოლეჯის მომსახურეობით და სასწავლო პროცესით სარგებლობენ ბიბლიოთეკით. მოდულების თეორიული კომპონენტი უტარდებათ კოლეჯში, რომლის დასრულების და შედეგების დადასტურების შემდეგ იწყება პრაქტიკული მეცადინეობები, რომლებსაც გადიან პრაქტიკის ობიექტზე, პრაქტიკული კომპონენტის შედეგების დადასტურება ხდება დაკვირვების ფურცლებით პრაქტიკის ობიექტზე პრაქტიკის ინსტრუქტორის მიერ; სწავლების გაუმჯობესების მიმართულებით რეკომენდაციები არ გააჩნიათ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს დირექტორის 2017 წლის 11 თებერვლის № 12 ბრძანებით დამტკიცებულ საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება;
- პროფესიულ სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები კერძოდ: შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს დირექტორის 2017 წლის 11 თებერვლის № 12 ბრძანებით დამტკიცებულ საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების **მუხლი 14 საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა /გაუქმება არის ჩანაწერი:**

დამდგარი ან მოსალოდნელი ობიექტური გარემოების დროს, რომელიც იწვევს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლას ან გაუქმებას, კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა ალტერნატიული პროგრამის შეთავაზებით (აქამდე დადასტურებული შედეგების აღიარებით), ან ხელი შეუწყოს მათ მობილობას.კოლეჯი პროგრამის გაუქმებამდე აფორმებს თანამშრომლობის მემორანდუმებს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების გადასვლის და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას მათ მიერ გავლილი პროგრამის აღიარებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

ქ.თბილისი, 2018 წელი 19-20 აპრილი

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს დირექტორის 2017 წლის 11 თებერვლის № 12 ბრძანებით დამტკიცებულ საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება;
- საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციასთან გაფორმებული მემორანდუმი მობილობასთან დაკავშირებით;
- მემორანდუმი შპს საზოგადოებრივ კოლეჯთან „პანაცეა" და შპს საზოგადოებრივ კოლეჯთან „ფანასკერტელი" მობილობის შესახებ

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს დირექტორის 2017 წლის 10 თებერვალი № 11 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლის ჩანაწერების მიხედვით:

1.სწავლების ხარისხის შეფასებისთვის მოწმდება:

- საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამაში შემავალი ცალკეული კომპონენტები:
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი;
- სასწავლო გარემო;
- პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობა სასწავლო პროცესში;
- კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა დასაქმების მაჩვენებლის შესწავლის გზით.

2.სწავლების ხარისხის შეფასების ციკლი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

- დაგეგმე;
- განახოციელე;
- შეამოწმე;
- განავითარე.
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საქმიანობის შეფასება;
- პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა;
- ჯგუფის შეფასება პროგრამის განმახორციელებელი პირის მიერ;
- კურსდამთავრებულების გამოკითხვა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ.თბილისი, 2018 წელი 19-20 აპრილი

- ❖ კურსდამთავრებულთა დასაქმების აღრიცხვა;
- ❖ კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკის ანალიზი;
- ❖ პროგრამის განმახორციელებელი პირების ჩართვა სასწავლო გეგმის შემუშავებაში;
- ❖ გარე ფაქტორების კვლევა.

- პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიულ მასწავლებლთა გამოკითხვები ტარდებ მოდულის/სასწავლო კურსის დასრულებისთანავე, ასევე ხარისხის სამსახურის მენეჯერი ახორციელებ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებას და აფორმებს შესაბამისი აქტის სახით, თუმცა შერჩევი გადამოწმებულ დასწრების აქტებში არსად არ არის დაფიქსირებული პროფესიული მასწავლებლი შენიშნვები ან რეკომენდაციები.
- შერჩევითად გადამოწმდა პროფესიული სტუდენტების და მასწავლებლების მიერ შევსებულ კითხვარები საიდანაც იკვეთება რომ იცნობენ შესაბამის მოდულებს და მოსწონთ მათ განხორციელების მიდგომები.
- ვინაიდან კოლეჯს კურსდამთავრებულები ჯერ არ ჰყავს გამოკითხვა არ ჩატარებულა, და შესაბამისა ვერც კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას ვერ გააკეთებდნენ.
- ყოველწლიურად სასწავლო წლის დასრულების შემდეგ კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფ სამსახურის მენეჯერი და კოლეჯის ადმინისტრაცია განიხილავს კვლევის შედეგებს და შეიმუშავებ შესაბამის რეკომენდაციებს;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილია შიდა მხარდაჭერის ჯგუფი და გაწერილია გეგმა წლ განმავლობაში ჩასატარებელი აქტივობების შესახებ

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- 2017 წლის 10 თებერვალი № 11 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (კითხვარების ფორმებით)
- პროფესიული სტუდენტების შევსებული კითხვარები;
- პროფესიული მასწავლებლების შევსებული კითხვარები;
- საგაკვეთილო პროცესზე დასწრების აქტები;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ქ.თბილისი, 2018 წელი 19-20 აპრილი

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს კოლეჯი მესამე სამედიცინო განთავსებულია ქ.თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი N142 სს დიალოგთან 2017 წლის 13 თებერვალს დადებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2023 წლის 1 აგვისტომდე. იჯარის ხელშეკრულება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში- საკადასტრო კოდი [redacted]

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	აკაკი წერეთლის გამზირი N 142	447,36კვ.მ

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან [redacted] საკადასტრო კოდი [redacted]
- იჯარის ხელშეკრულება

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო დაწესებულება განთავსებულია ორსართულიან შენობაში, პირველ სართულზე 1 სასწავლ- ოთახი. 7 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის სულ განკუთვნილია 11 სასწავლო ოთახი, აქედ: 2 კომპიუტერული კლასი, შესაბამისი ფართებით: 21,48 კვ.მ და 22,59 კვ.მ გათვლილია 10-10 პროფესიულ სტუდენტზე, ოთახი აღჭურვილია: 10 -10 ც კომპიუტერი, პერსონალური კომპიუტერი /ნოუთბუქი 1 - პროექტორი 1-1ც და პრინტერი (კონბაინი) 1-1ც. პრაქტიკოსი ექთნის და ექთნის თანაშემწის მოდულურ- პროგრამებისათვის განკუთვნილია 4 (ოთხი) „ა" გარემო პროფესიული სტუდენტების სამუშაო ადგილებ-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ.თბილისი, 2018 წელი 19-20 აპრილი

რაოდენობა 74, სასწავლო ოთახები აღჭურვილია მოდულის ჩანაწერების შესაბამისად; ერთი ა/(
ინტეგრირებული გარემო საერთო ფართით 43,04 კვ.მ გათვლილია 24 პროფესიულ სტუდენტზე
განთავსებულია 12ორადგილიანი მერხი, 24 სკამი, მასწავლებლის სამუშაო მაგიდა/სკამი, ნოუთბუქი 1 ც
პროექტორი 1ც, ფლიფჩარტის დაფა 1 ც, დაფა 1 ც, პროფესიული და არჩევითი მოდულებიი
გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ინვენტარი: უნივერსალური მულაჟი 1ცალი, სასწორ
საზომით 2 ც, არტაშანი 4ც, არტერიული წნევის საზომი 4ც,თერმომეტრი 4ც, პუქსოსიმეტრი 2 ც, ბალიში 6 ც
წამზომი 10 ც, ლახტი 4 ც, ამბუს ნიღაბი 2 ც, ნაწოლების ლეიბი 1ც, ეტლი 1ც, ფიქსატორი 1 ც, ყავარჯენი
წყვილი, ჩასაბანი საშუალება 2 ც, სუდნო 2 ქალის, 2 მამაკაცის, გრელკა/ოყნის კომპლექტი , ფანრებ
სამედიცინო მაკრატლები, პინცეტები და მონჭერები, მულაჟი თოჯინა, საწოლი და სამედიცინ
დოკუმენტაციების ფორმები, ასევე პლაკატები თემატიკის მიხედვით. <u>რაც შეეხება მეორე „ც“ გარემო</u>
<u>რომელიც პრაქტიკოსი ექთნის პროგრამის მიზნებისათვის ჰქონდა დაწესებულებას ჩათვლილი აღჭურვილი</u>
<u>არასრული მატერიალურ -ტექნიკური ბაზით: არ არის უნივერსალური მულაჟი, რომელზედაც პროფესიულმ</u>
<u>სტუდენტებმა პრაქტიკულმეცადინეობაზე უნდა ჩაატარონ სხვადასხვა მანიპულაცია, ასევე არარის მულაჟ</u>
<u>თოჯინა, თუმცა სხვა დანარჩენი აღჭურვილობა მოდულის ჩანაწერების მიხედვით ადგილზეა, გარემო 1</u>
<u>პროფესიულ სტუდენტზეა გათვლილი.</u>

დანარჩენი 4 საგნობრივი პროგრამისთვის განკუთვნილია შვიდი აუდიტორია საერთო ფართით 91,81 კვ.
აღნიშნული ფართი აღჭურვილია: მერხებით, სკამებითთვალსაჩინო მასალებით და დაფებით.

სულ დაწესებულების მფლობელობაშია: 23 ერთეული კომპიუტერი(20 სასწავლო, 2 ადმინისტრაცია, ბიბლიოთეკა), პროექტორი 4 ერთეული, კომბინირებული ქსეროქსი/პრინტერი 5 ცალი, 170 პროფესიულ სტუდენტისათვის სამუშაო მაგიდა და სკამი, მასწავლებლის მაგიდა და სკამი 13 ერთეული.

დაწესებულების პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ პროგრამაზე სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრი მეთოდოლოგიაში არ არის გათვალისწინებული შემდეგი ფაქტორი:

<u>პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის მოდულურ პროგრამაში 9 მოდულს(პრაქტიკული პროექტ</u>
<u>პაციენტის ფიზიკური შეფასება, თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა, პირველადი გადაუდებელ</u>
<u>დახმარება, პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა, რეაბილიტაცია საექთნო საქმეში, სამედიცინ</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ქ.თბილისი, 2018 წელი 19-20 აპრილი

პროცედურები და მანიპულაციები, ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა და საექთნო პროცესის მართვ
ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა) და ექთნის თანაშემწის მესამე საფხურის მოდულური პროგრამის
მოდულს(პირველადი გადაუდებელი დახმარება, პრაქტიკული პროექტი, ავადმყოფის მოვლა, ბავშვთ
მოვლის თავისებურებები, თერაპიული პაციენტის მოვლა, პაციენტის ფიზიკური შეფასება და შინმოვლ
ჭირდება „ც" გარემო პრაქტიკული მეცადინეობების განსახორიელებლად, ეს მოდულები სასწავლო გეგმები
შესაბამისად გადანაწილებულია სასწავლო წლების მიხედვით ძირითადი დატვირთვა მოდის პირველ
სასწავლო წელს, ვინაიდან დაწესებულებას გააჩნია სრულყოფილი 1 „ც" გარემო და კონტიგენტის დათვლი
მეთოდოლოგიაშიც არ იყო განსაზღვრული, რომ ეს გარემო 2 მოდულური პროგრამისათვის საზიარო
მოდულის ჩანაწერებიდან და კალენდარული გეგმებიდან შეუძლებელი იყო განგვესაზღვრა პრაქტიკულ
მეცადინეობის რამდენი პროცენტი ტარდება დაწესებულებაში და რამდენი პრაქტიკის ობიექტზ
დაწესებულების ხელმძღვანელობასთან გასაუბრების შემდეგ წარმოდგენილი იქნა დირექტორის ბრძანებ
რომლის ჩანაწერის მიხედვით თეორიული მეცადინეობა, რომელიც არის დაახლოებით პროგრამის 30-35%
სრულად ტარდება დაწესებულებაში და პრაქტიკული მეცადინეობის 50 % „ც" გარემოში და 50 % პრაქტიკი
ობიექტზე;

დაწესებულების მიერ მოთხოვნილია აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობი
გაზრდა 60-ით, თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რესურსი არ არის დამაკმაყოფილებელ
ძირითადად :

დაწესებულებას პრაქტიკოსი ექთნის მოდულური პროგრამის განსახორციელებლად აქვს ერთი „ა/ც" გარემ
24 პროფესიულ სტუდენტზე, „ა" გარემო(1) 20 პროფესიულ სტუდენტზე, „ა" გარემო(2) 20 პროფესიულ
სტუდენტზე, „ბ" გარემო (1) 10 პროფესიულ სტუდენტზე და „ბ" გარემო (2) 10 პროფესიულ სტუდენტზ
პროფესიული მასწავლებელი 31, პრაქტიკის ობიექტს შეუძლია მიიღოს მაქსიმუმ 40 პროფესიული სტუდენტ
2 ცვლაში, **რაც იძლევა საშუალებას დაწესებულებამ ამ პროგრამაზე მიიღოს დამატებით 40 პროფესიულ
სტუდენტი.**

დაწესებულების მხრიდან არ იქნა წარმოდგენილი მოდულურ პროგრამებზე სასწავლო მიზნებისათვ
გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შეძენის, შენახვისა მექანიზმები, ასევე სასწავლო პროცეს
ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციის წესები, თუმცა დაწესებულებას განვლილ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ქ.თბილისი, 2018 წელი 19-20 აპრილი

მოდულების მიხედვით შეძენილი აქვს მასალები და ნედლეული, ასევე დაწესებულებაში C გარემოში აქვს ნარჩენების მოსათავსებელი კონტეინერები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან
- ქირავნობის ხელშეკრულებით
- ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით
- შესყიდვის აქტებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით და ფაქტობრივი მდგომარეობით
- კომუნალურების გადასახადების გადახდის ქვითრებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას, დირექტორის 2017 წლის 11 თებერვლის ბრძანება N 12 დამტკიცებულ საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში გაწერილია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. დაწესებულებას ჰყავს შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი ბიბლიოთეკარი, ბიბლიოთეკის ფონდი შედგება 960 ერთეულისაგან და შესაბამისობაშია მოდულებში/სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურასთან.ბიბლიოთეკის სივრცეში განთავსებულია სტუდენტებისათვის სამუშაო მაგიდა და სკამები, რომ შეძლონ ადგილზე მეცადინეობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 2017 წლის 11 თებერვლის ბრძანება N 12 დამტკიცებულ საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულება
- ბიბლიოთეკის საინვენტარიზაციო წიგნი
- ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ბალანსზე ირიცხება 23 კომპიუტერი, აქედან 20 პროფესიული სტუდენტებისათვის, ბიბლიოთეკისაა და 2 ადმინისტრაციული პერსონალისათვის, 4 ლეპტოპი, და 4 პროექტორი. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ხელმისაწვდომია და გამოიყენება როგორც საგანმანათლებლო საქმიანობაში ასევე დაწესებულების მართვაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ქ.თბილისი, 2018 წელი 19-20 აპრილი

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მიღება-ჩაბარების აქტით
- სს სილქნეტთან გაფორმებული ხელშეკრულებით
- ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 3 თებერვლის ბრძანება N6 დამტკიცებულია საქმისწარმოები ინსტრუქცია, რომლის შესაბამისად მიმდინარეობს გამოცემული აქტების და კორესპოდენციების აღრიცხვ გახსნილია ჟურნალები, რომლებიც სათანადო წესით დანომრილია, ზონარგაყრილია და ბეჭედდასმულია.

საქმისწარმოების ინსტრუქციის მეოთხე მუხლის 4.4 პუნქტი შეიცავს ჩანაწერს : ბრძანების (განკარგულების ტექსტი შედგება საკონსტატაციო და განკარგულებითი ნაწილისაგან. საკონსტატაციო ნაწილში ყალიბდებ დოკუმენტის მიზნები და ამოცანები, გამოცემის საფუძველი (განცხადება, საკანონმდებლო თუ ნორმატიულ აქტი, მათი დასახელება, ნომერი, თარიღი და ა.შ) ხოლო განკარგულებით ნაწილში აღინიშნება კონკრეტულ ქმედება, შემსრულებელი და შესრულების ვადები, აგრეთვე პირი, რომელსაც ევალება შესრულებაზ კონტროლი.დაწესებულების დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებების 98 % არ მოიცავს ამ ჩანაწერ შესაბამის ინფორმაციებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- . დირექტორის 2017 წლის 3 თებერვლის ბრძანება N6 დამტკიცებულია საქმისწარმოების ინსტრუქცია
- შემოსული და გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები;
- ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალები;
- ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალები;
- ოქმების აღრიცხვის ჟურნალები;

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ქ.თბილისი, 2018 წელი 19-20 აპრილი

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობ
რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობ

ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი

დაწესებულების ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად 2017 წლის 11 თებერვლი N12ბრძანებით დამტკიცებულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები სადაც დეტალურად არის აღწერილი ცეცხლის კერის არსებობის შემთხვევაში მოქმედების გეგმა დ ცეცხლმაქრების გამოყენების ინსტრუქცია, გარდა ამისა დირექტორის ბრძანებით შექმნილია საგანგებ სიტუაციების დროს მოქმედი შტაბი, გაწერილია სამოქმედო გეგმა და მოვალეობები. დაწესებულები ტერიტორიაზე განთავსებულია 4 ცეცხლმაქრი, რომელიც დამუხტული და მოქმედია.

ბ)თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებულია შესაბამის უფლებამოსილ უწყებასთა

შეთანხმებული ევაკუაციის გეგმა, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას.

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით, დაწესებულებას 2017 წლის 12 თებერვლის N12ბრძანებით დამტკიცებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, გამოყოფილია პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის სპეციალური ოთახი, აღჭურვილი პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო რესურსით და მედიკამენტით.შტატში დანიშნულია ექიმი.

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

დაწესებულებას წესრიგის დაცვის მიზნით შესაბამის პიროვნებასთან გაფორმებული აქვს შრომითი

ხელშეკრულება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ქ.თბილისი, 2018 წელი 19-20 აპრილი

- 2017 წლის 12 თებერვლის N12ბრძანებით დამტკიცებული სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები
- 2017 წლის 11 თებერვლის N12ბრძანებით დამტკიცებულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები
- შესაბამის რერსონალტან გაფორმებული ხელშეკრულებები
- დამტკიცებული ევაკუაციის გეგმები

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შენობაში, რომელშიც ფუნქციონირებს კოლეჯი შემოსვლა შესაძლებელია პანდუსით, ასევე კოლეჯის მფლობელობაში არსებულ სართულებზე მოხვედრა შესაძლებელია პანდუსით. გადაადგილების უნარშეზღუდულ პირებს თავისუფლად შეუძლიათ მივიდნენ აუდიოტორიებში. ხელმისაწვდომია ყველა სახის სერვისი (სველი წერტილებით სარგებლობა, ბიბლიოთეკით, კომპიუტერული კლასით სარგებლობა და სხვ.), რაც საჭიროა მათთვის შესაბამისი განათლების მისაღებად.კოლეჯის კედლებზე თვალსაჩინოდ გამოკრულია გადაადგილების უნარშეზუდული პირის აღმნიშვნელი ნიშანი, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ პირს შეუძლია დახმარების გარეშე დაადგინოს გადაადგილების მარშრუტი. კოლეჯის კომენდანტი ვალდებულია აღნიშნულ პირებს აღმოუჩინოს ყველანაირი დახმარება, რაც უზრუნველყოფს მათ შეუფერხებელ და კომფორტულ გადაადგილებას კოლეჯის შენობაში. შენობის პირველ სართულზე ადაპტირებულია ერთი სველი წერტილი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერება
- პანდუსებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ.თბილისი, 2018 წელი 19-20 აპრილი

საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო დ ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია როგორიცაა დაწესებულების სტრუქტურ: საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული მასწავლებლები, ადმინისტრაცია, იურიდიული დკუმენტებ კატალოგი, სტრატეგიული განვითარების გეგმები, ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რო დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი, ვებგვერდზე განთავსებული დაწესებულების მიერ განხორციელებული აქტივობები;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს კავკასუს ონლაინთან გაფორმებული ხელშეკრულება დომეინის და ჰოსტინგი შესყიდვის შესახებ
- www.medicalschool-3.edu.ge

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების მისიის და მიზნების შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი 2017 -23 წწ) სამოქმედო გეგმა, რომელი ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებას და გაუმჯობესებას. დაწესებულები მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცებული შპს კოლეჯ მესამე სამედიცინო დირექტორის 2017 წლის 9 თებერვალს მოქმედი იყო 2018 წლის 9 თებერვლამდე , დაწესებულები წარმომადგენელის მხრიდან ვიზიტის დასრულებამდე წარმოდგენილი იქნა ერთწლიანი სამოქმედო გეგ მოქმედების ვადით 2018 წლის 19 აპრილი-2019 წლის 19 აპრილი, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის აქტივობებ შესაბამისია დაწესებულების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ.თბილისი, 2018 წელი 19-20 აპრილი

- შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს დირექტორის 2017 წლის 9 თებერვალი №10 ბრძანებით დამტკიცებული განვითარების გრძელვადიანი (6 წლიანი) სამოქმედო გეგმა (2017-2023 წელი)
- შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს დირექტორის 2018 წლის 19 აპრილის № 8 დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს; დაწესებულებას ჰყავს 8 ადმინისტრაციული და 2 დამხმარე პერსონალი, რომლებიც თანამდებობეზე დანიშნულია შრომის შინაგანაწესით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პერსონალის პირადი საქმეებით
- ხელშეკრულებებით
- დანიშვნის აქტებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ქ.თბილისი, 2018 წელი 19-20 აპრილი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას 7 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჰყავს სულ 89 პროფესიული განათლები მასწავლებლები, ავტორიზაციის ექსპერტთა წინა დასკვნაში დაფიქსირებული იყო შემდეგი შენიშვნ: პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის მოდულური პროგრამის ფარგლებში საწარმოო პრაქტიკას უძღვებ [redacted] 00000000 კვალიფიკაციით მეან გინეკოლოგი, სასურველია პრაქტიკული კომპონენტი პროფესიონალ ექთნების მეშვეობით განხორციელდეს; ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მხრიდან გამოთხოვილ იქ აღნიშნული შენიშვნის გამოსწორების დოკუმენტაცია, აღმოჩნდა რომ დაწესებულებამ კვალიფიციურ მოქმე ექთანთან გააფორმა მომსახურეობის ხელშეკრულება პრაქტიკული პროექტის, გაცნობითი პრაქტიკის დ საწარმოო პრაქტიკის განხორციელების თაობაზე.

აღნიშნული პროგრამის სხვადახვა მოდულების მასწავლებელთა პირადი საქმეების შესწავლის დრო: დაფიქსირდა რომ „ფსიქიატრიული პაციენტის საექთნო მართვის" მოდულს უძღვება პროფესიულ მასწავლებელი 000000 კვალიფიკაციით სამედიცინო ფსიქოლოგი, რეზიუმეს ჩანაწერებიდან ირკვევა რო სარეაბილიტაციო ცენტრში მუშაობს ფსიქოლოგად, აღნიშნული კვალიფიკაციის მქონე პირი ვე განახორციელებს მოდულის სწავლის შედეგების სწავლებას, აღნიშნული მოდული აუცილებელ განხორციელდეს ექთნის კვალიფიკაციის ან მუშაობის გამოცდილების მქონე პირის მიერ.

პრაქტიკოს ექთანზე პროფესიული მასწავლებლების რაოდენობაა 31;

<u>ვიზიტის დროს პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგა</u> <u>გამოიკვეთა შემდეგი:</u>

პროფესიული მასწავლებლები მონაწილეობენ პროგრამის, კალენდარული გეგმის და შეფასებ ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში, მოსწონთ მოდულური პროგრამების განხორციელების მიდგომებ თუმცა პროცესის ეფექტურად განხორციელების მიზნით ითხოვენ ტრენინგების ჩატარებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები)

- პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეები
- ხელშეკრულებები
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

■ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ.თბილისი, 2018 წელი 19-20 აპრილი

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. კერძოდ დაწესებულების საქმიანობის მარეგულირებელი დებულების 33 მუხლში გაწერილია პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების და დანისვნის პროცედურები. მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებული საქართველოს კანონმდებლობით და დაწესებულების დებულებით დადგენილი წესით

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეებით
- მომსახურების ხელშეკრულებებით
- შრომის შინაგანაწესით
- დაწესებულების სააქმიანობის მარეგულირებელი დებულებით
- პროფესიულ მასწავლებელთან ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის /საგნობრივი პროგრამებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	პრაქტიკოსი ექთანი	V	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია090552	134	164	ქართული	თბილისი აკაკი წერეთლის გამზირი N 142	20	თბილისი აკაკი წერეთლის გამზირი N 142 60 ადგილი

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;

დანართი 2.პრაქტიკოსი ექთნის მოდულური პროგრამის ზოგადი სავალდებულო მოდული უცხო ენა-ინგლისური;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქ.თბილისი, 2018 წელი 19-20 აპრილი

დანართი 3. პრაქტიკოსი ექთნის მოდულური პროგრამის ზოგადი სავალდებულო მოდული მეწარმეობა 3;
დანართი 4. პრაქტიკოსი ექთნის მოდულური პროგრამის ზოგადი სავალდებულო მოდული ინფორმაციული წიგნიერება 2;
დანართი 5. ფსიქოლოგიური პაციენტის საექთნო მართვის მოდულის პროფესიული მასწავლებლის პირადი საქმე.
დანართი სულ: 59 (ორმოცდაცხრამეტი) ფურცელი

04.06.2018 წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---